სკ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

15 თებერვალი, პარასკევი, 1991 წ.
№ 27 (10 440) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

17 + 14

მართლაც რომ ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ ჩვენი ჭაბუკი ძიუდოისტები დნეპროპეტროვსკიდან, სადაც გაიმართა ჭაბუკთა (1973-1974 წლებში დაბადებულნი) საკავშირო პირველობა სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის. საქართველოს სპორტსმენებმა უკრაინიდან 14 მედალი ჩამოიტანეს: 4 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და 7 „ბრინჯაო“. შეგახსენებთ, რომ მათმა უფროსმა კოლეგებმა სპარტაკიადაზე და ქვეყნის ჩემპიონატში 17 მედალი დაიმსახურეს.

პირველი ადგილები დაიკავეს თბილისელმა მიხეილ აბაშიძემ (49 კგ, „მართვე“), გორელმა გიორგი ვაზაგაშვილმა (62 კგ, „შევარდენი“), თელაველმა მამუკა ბოტკოველმა (83 კგ, „მართვე“) და ახმეტელმა არჩილ მეშველიანმა (90 კგ, „შევარდენი“); მეორე — გიორგი რევაზიშვილმა (57 კგ, საგარეჯო, „მართვე“), ალექსანდრე ღვინიაშვილმა (75 კგ, თბილისი, „მართვე“) და რამაზ ჩოჩიშვილმა (83 კგ, გორი, „შევარდენი“); მესამე — შალვა მრევლიშვილმა (45 კგ, მცხეთა, „მართვე“), ალექსანდრე წიქორიძემ (53 კგ, მარტყოფი, „შევარდენი“), ამირან აბრამიშვილმა (57 კგ, ახმეტა, „მართვე“), არჩილ ხარებაშვილმა (62 კგ, თბილისი, „მართვე“), ლაშა პეტრიაშვილმა (75 კგ), იოსებ ახალბეღაშვილმა (90 კგ, ორივე — გორი, „შევარდენი“) და ლევან ჯაფარიძემ (მძიმე, თელავი, „მართვე“).

ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ გამარჯვებას ქართული სპორტის მომავალი თაობა აღწევს.

გამოხმაურება

დარგს — თავისი პროფკავშირი

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თბილისის საქალაქო საბჭომ განიხილა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს საინიციატივო ჯგუფს. დარგს აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი ინტერესების დამცველი და ქომაგი პროფკავშირი.

ნანა გალაშვილი,
„შევარდენის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

რუსთავის ფიზკულტურულ და სპურტულ ორგანიზაციებში ერთსულოვნად მოიწონეს დარგობრივი პროფკავშირის შექმნის წინადადება. ვიწყებთ მხარდამჭერი კრებების ჩატარებას.

კარლო ნაბუეგია,
რუსთავის ფიზკულტურიხა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

მივესალმები „ლელოს“ თაოსნობას. დარგობრივი პროფკავშირის შესაძლებლობები, ვფიქრობ ყველამ კარგად იცის. ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სპორტსმენები აქამდე გერის როლში იყვნენ. ამიერიდან კი ისინი საკუთარი ინტერესების დამცველ პროფკავშირში გაერთიანდებიან.

ნიკოლოზ სომხიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

ფიზიკური კულტურის, სპორტის მუშაკთა და სპორტსმენთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის ხაინიციატივო ჯგუფიდან გვაცნობეს, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ტარდება კრებები და დაიწყო წერილების განხილვა.

NBA

ეს-ესაა შევიტყვეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინწინ, 13 თებერვალს, გაიმართა ნაკრებ ოცდაერთელ ცხრაბურთელთა ლიგის მორიგი ოთხი მატჩი.

„ნიუ-ჯერსი“ — „ატლანტა“ 140:106. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები: კრის მორისი —32 ქულა, დრაჟენ პეტროვიჩი (ორივე — „ნიუ-ჯერსი“) — 22; დომინიკ უილკინსი („ატლანტა“) — 22.

„კლივლენდი“ — „დალასი“ 95:93. სნაიპერები: ბრედ დოჰერტი — 23, ლარი ნენსი (ორივე — „კლივლენდი“) — 22; როლანდო ბლეკმანი („დალასი“) — 28.

„ინდიანა“ — „დეტროიტი“ 105:101. სნაიპერები: მაიკლ უილიამსი („ინდიანა“) — 21; ჯო დუმარსი („დეტროიტი“) — 28.

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „მინესოტა“ 120:106. სნაიპერები: ტერი ტიგლი— 24, ვლადო დივაცი (ორივე — „ლეიკერსი“) — 18, პუ რიჩარდსონი („მინესოტა“) — 31.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 14 თებერვლისთვის

დასავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ბოსტონი“	36	12	750
„ფილადელფია“	25	22	532
„ვაშინგტონი“	21	27	438
„ნიუ-იორკი“	21	27	438
„ნიუ-ჯერსი“	15	34	306
„მაიამი“	13	35	271

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	33	14	702
„დეტროიტი“	34	16	680
„მილუოკი“	30	19	612
„ატლანტა“	26	23	531
„ინდიანა“	20	28	417
„კლივლენდი“	16	33	326
„შარლოტა“	15	33	313

აღმოსავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

„სან ანტონიო“	33	13	717
„იუტა-ჯაზი“	32	16	667
„ჰიუსტონი“	27	22	551
„დალასი“	18	28	391
„მინესოტა“	16	31	340
„ორლანდო“	15	33	313
„დენვერი“	14	32	304

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი“	40	9	816
„ლოს-ანჯ. ლეიკერსი“	36	12	750
„ფენიქსი“	31	16	659
„გოლდენ სტეიტი“	27	20	574
„სიეტლი“	22	24	478
„ლოს-ანჯ. კლიპერსი“	15	33	313
„საკრამენტო“	14	32	304

დამატებითი სტიმული

კიევი. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ უკრაინის დედაქალაქში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო პირად ჩემპიონატში თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა პირველ სახეობაში (ფარიკაობაში) გამარჯვების შემდეგ მტკიცედ ივდო ხელთ ლიდერობა. ახლა იმასაც დავძენთ, რომ ოთხი სახეობის შემდეგ (ფარიკაობას დაემატა ცურვა, სროლა და რბენა) იგი ინარჩუნებს ლიდერობას და, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ჩემპიონი უნდა გახდეს.

საცხენოსნო შეჯიბრების (ბოლო სახეობის) წინ იაგორაშვილს 4730 ქულა აქვს. მსოფლიო ექსჩემპიონი და ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ა. სტაროსტინი ოქროს მედლისათვის ბრძოლას უკვე გამოეთიშა. იგი მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა. იაგორაშვილს 50 ქულით ჩამორჩება ყირგიზეთის წარმომადგენელი ი. ფელდმანი. მინსკელ ს. გერასიმოვიჩს ჯერჯერობით მესამე შედეგი აქვს — 4656 ქულა.

შეგახსოვებთ, რომ პირველ სახეობაში — ფარიკაობაში — ვ. იაგორაშვილმა მოიპოვა — 1046 ქულა. ცურვაში უძლიერესი იყო ლენინგრადელი ი. სერგეევი (3.12,8), სროლაში — ი. ფელდმანი (დააზიანა 197 სამიზნე) და რბენაში — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ე. ზენოვკა (11.55,0).

შევიტყვეთ, რომ ამ დღეებში ვახტანგ იაგორაშვილს ქალიშვილი შესძენია. ეს კი ბედნიერი მამისათვის დამატებითი სტიმულია ამ მძიმე და საპატიო ბრძოლაში.

დამოუკიდებლობა ერთი წლისაა

ერთი წლის წინათ, 1990 წლის 15 თებერვალს, შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია. პირველებმა ხნორედ ფეხბურთელებმა განაცხადეს უარი ცენტრის დიქტატზე და ამით პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა ქართული სპორტის სუვერენიტეტის გზაზე.

იმედს გამოთქვამთ, ეროვნული ფედერაცია სიმართლის გზით ივლის და კოლეგიურად ყველაფერს იღონებს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, ტყავის ბურთის ქართველ ოსტატებს კი მალე ვიხილავთ საერთაშორისო სარბიელზე.

„ლელოს რედაქცია“.

ფოთი, მინიფეხბურთის ასოციაციას...

სულ ახლახან დამთავრდა მინიფეხბურთში ვიტალი დარასელიას პრიზის პირველი გათამაშება, რომელიც სპორტის ამ სახეობის ასოციაციამ (პრეზიდენტი ნოდარ წულაია) ჩაატარა თბილისში. ეს იყო გუნდებისა და მათი შესაძლებლობების თავისებური დათვალიერება.

ასოციაცია გამოვიდა ახალი თაოსნობით — იგი ასევე პირველად ჩაატარებს ეროვნულ ჩემპიონატს, სადაც მონაწილეობის უფლება მხოლოდ ასოციაციის წევრ გუნდებს მიეცემათ. ჩემპიონატი მარტის ბოლოს დაიწყება. დღეხსათვის ასოციაცია აწევრიანებს რვა კლუბს, ამდენივე კლუბი კი ამჟამად იქმნება. ასოციაციის წევრ კლუბებს უფლება ეძლევათ იასპარეზონ საქართველოს თასის გათამაშებაში და საერთაშორისო ტურნირებში.

ასოციაციაში გაწევრიანება გაგრძელდება 10 მარტამდე.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ასოციაციას მისამართზე: ფოთი, 26 მაისის ქ., 4. ტელეფონი 5-55-27.

კვლავ ერთად

შეიქმნა ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია

სხვა სახეობების წარმომადგენლებისა არ იყოს, ბოლო დრომდე არავინ დაინტერესებულა ქართველ ვეტერან მორაგბეთა ბედით. არავინ უწყოდა, რას აკეთებდნენ ისინი, როგორ ცხოვრობდნენ, რა უჭირდათ, რა ულხინდათ...

შარშან კი ვეტერანებმა საკუთარი თავის პატრონობა გადაწყვიტეს. ჩაატარეს კიდეც რამდენიმე საკავშირო თუ საერთაშორისო შეხვედრა, გამართეს დ. დავითაიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი, ახლახან კი მოაწყვეს ვეტერან მორაგბეთა ფედერაციის დამფუძნებელი კრება, რომელზეც მიიღეს ახალშექმნილი ორგანიზაციის წესდება.

ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს რაგბის შემდგომ განვითარებას, ვეტერან მორაგბეთა მატერიალურ, საყოფაცხოვრებო და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოზარდ მორაგბეთათვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

ფედერაციას აქვს უფლება დადოს ხელშეკრულება ნებისმიერი ქვეყნის შესაბამის ფედერაციასთან, ჩაატაროს საერთაშორისო ტურნირები; დააარსოს კლუბები, საწარმოები, კოოპერატივები.

ფედერაცია თავის რიგებში გააერთიანებს ვეტერან მორაგბეთა და რაგბის მოყვარულებს. მისი წევრები შეიძლება გახდნენ უცხოელი მოქალაქეებიც.

ვეტერან მორაგბეთა ფედერაციამ თხოვნით მიმართა ვეტერან მორაგბეთა საერთაშორისო ორგანიზაციას, 1993 წლის ვეტერან მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე დაუშვან საქართველოს ნაკრები.

კრებამ ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია ცნობილი მორაგბე, სპორტსახკომის სამშენებლო საბჭომართველოს უფროსი თენგიზ რუხაძე, ვიცე-პრეზიდენტებად — პირველი თაობის ქართველი მორაგბეები: გივი მრელაშვილი და გოგი ყუფარაძე, გენერალურ მდივნად — რესპუბლიკის სახელმწიფო მწვრთნელი რაგბიში დავით კილასონია.

დავით თაქთაქიშვილი,
საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

წყლის სამყაროს ვარსკვლავები

ახლახან ავსტრალიაში, ქალაქ პერტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში უნგრელმა მოცურავემ ტომას დარნიმ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ვაჟთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მარცხენა სურათზე აღბეჭდილია ავსტრალიელი შეილა ტეილორ-სმიტი, რომელიც მდინარეში 25 კმ-ზე ცურვაში უძლიერესი იყო.

ტურნირები და შედეგები

ვოლოსპორტი. როგორც ჩანს, სპრინტერთა ოჯახში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო. სხვაგვარად ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ ალიარებულმა ლიდერმა, მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა ბოლო ორი კვირის მანძილზე ორი სასტიკი მარცხი იწვნია. აეროფლოტის პრიზის გათამაშებაში იგი მეოთხე იყო, გუშინწინ მოსკოვში დამთავრებულ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე კი მხოლოდ მეშვიდე. ოქროს მედალი 20 წლის ომსკელმა ოლეგ ლუჩიჩინმა მოიპოვა.

ფარიკაობა. ობრიგჰაიმში (გერმანია) ჩატარდა რაპირისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირი — „შვიდი ეროვნების თასი“. ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში უკვე მესამედ გაიმარჯვა იტალიის ნაკრებმა (მარგერიტა ზალაფი, ჯოვანა ტრილიჩი, ფრანჩესკა ბორტოლოცი, დიანა ბიანჩელი და ლუჩია ტრავერსა), რომელმაც ბოლო შეხვედრა მესამე ადგილზე გასულ საბჭოთა ნაკრებს მოუგო — 9:5.

თხილამურებით რბენა. კვლავ წარუმატებლად გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები კავალეზეში (იტალია) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე. ორკეცდელთა გუნდურ შეჯიბრებაში მათ მერვე ადგილი დაიკავეს, ჩემპიონი კი ავსტრიის გუნდი გახდა (კ. ოფნერი, გ. ჩარი, კ. ზულცენბაჰერი). ვერცხლისა და ბრონჯაოს მედლები დაისაკუთრეს საფრანგეთისა და იაპონიის მოთხილამურეებმა.

მძლეოსნობა. ლიპეცკში დამთავრდა მრავალჭიდელთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. შვიდჭიდში მოასპარეზე ვაჟთა შორის ყველას როსტოველმა ა. დულაკოვმა აჯობა (6133 ქულა), ქალთა ხუთჭიდში კი მინსკელმა ო. სუხობაზოვამ იმარჯვა (4596).

ჩოგბურთი. ბრიუსელში დაიწყო ვაჟთა ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია. კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი პირველსავე წრეში დამარცხდა ბორის ბეკერთან (გერმანია) 4:6, 6:3, 3:6. სტარტზევე გამოეთიშა ასპარეზობას ერთ-ერთი ფავორიტი, ამერიკელი ანდრე აგასი. მას გერმანელმა კრისტიან საცეანმა აჯობა 6:3, 7:6.

მსოფლიო რეკორდი

მძლეოსნობა. ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ამერიკელმა სპრინტერმა ლეროი ბარელმა 60-მეტრიან დისტანციაზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (დარბაზებისთვის) — — 6,48. ძველი რეკორდი, რომელიც მას თანამემამულეს ლი მაკრის ეკუთვნოდა (1987 წლის 7 მარტი, ინდიანაპოლისი), გაუმჯობესდა 0,02 წამით.

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

სასაყვედურო როგორ არა აქვს...

ყარი მისმა მეუღლემ, საქვეყნოდ ცნობილმა ველოსპრინტერმა ომარ ფხაკაძემ გამიღო. ბატონი ომარი, ალბათ, ელოდა, რომ არც ამჯერად დაირღვეოდა ტრადიცია და ჟურნალისტი მისი სპორტული წარსულით და სამომავლო გეგმებით დაინტერესდებოდა. მაგრამ ყველაზე მყარი ტრადიციაც, ეტყობა, ზოგჯერ ირღვევა: თურმე, შესაძლოა, ფხაკაძეების სპორტულ ოჯახში ისე ისუმრო სპორტულმა „ჟურნალისტმა, რომ შენი მოსაუბრე ომარ ფხაკაძე არ იყოს.

მაშ ვინ? ვინ და, ბატონ ომარის მეუღლე, ქალბატონი ალექსანდრა ჯანუყაშვილი.

— ვარჯიში თბილისში, მე-12 საშუალო სკოლაში დავიწყე. — გვიამბობს ქალბატონი ალექსანდრა, — ჩემი მეზობელი ფაცო ხარაშვილი ვარჯიშობდა სპორტულ ტანვარჯიშში, . მეც ამიყოლია. წამიყვანა დარბაზში და გამაცნო ქალბატონი ემა ქოვლიევა — ჩემი პირველი და ერთადერთი მწვრთნელი. მას შემდეგ დარბაზის ხშირი სტუმარი გავხდი, ჩემთვის დაუვიწყარია ემა მასწავლებლის სითბო და ამაგი. რაკი იგრძნო, ჩემგან რაღაცის „გამოშალაშინება" შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა, რომ სწორ გზაზე დაგვყენებინე. მეც, ჩემი მხრივ, კცდილობდი, ყველაფერი დამეჯერებინა მისთვის.

● ქალბატონ ემას უმთავრესი საზრუნავი ხომ ის იყო, რომ კარგ სპორტსმენად აღეზარდეთ. როდის მიხვდით, რომ უმართლებდით იმედს ამაგდარ მასწავლებელს?

— მართალია, საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოვეკიდე. მაგრამ გვიან „გაიხსენი". მთელი 4 წელი დამჭირდა, რომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გამოვსულიყავი, არადა, დღეს ზოგიერთი ტანმოკარჯიშის კარიერა სწორედ ამ დროით განისაზღვრება. თუმცა მარტო მე როდი ვიყავი გამონაკლისი, მაშინ ასეთი შემთხვევები ხშირი იყო.

სასპარტაკიადო გუნდში ყველაზე უმცროსი ვიყავი, მაგრამ მაინც მომცეს გამოსვლის უფლება. როგორც ყველაზე ნებისყოფიანს, დიახ, თითქმის ყველა შეჯიბრებაზე, ყველა იარაღზე პირველი მე მივდიოდი.

ამას შემდეგი სპარტაკიადა მოჰყვა ბაქოში, 1961 წელს. აქ უფრო თავდაჯერებულად ვიასპარეზე. გამოცდილებაც არ მაკლდა და, წინა სპარტაკიადისგან განსხვავებით, წარმატებასაც მივაღწიე — ორძელზე ვარჯიშში ოქროს მედალი დავიმსახურე. საერთო ჩათვლაში კი მეორე ადგილზე გავედი.

● თქვენ საკავშირო ნაკრების წევრიც იყავით, მაგრამ, როგორც ვიცით, მის შემადგენლობაში რაიმე სერიოზული წარმატება არ მოგიპოვებიათ. რატომ?

— როგორც დღეს, მაშინაც არცთუ კეთილგანწყობილი ურთიერთობა სუფევდა საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებსა და ქართველ, საერთოდ არარუს სპორტსმენებს შორის. 1963 წელს მიმიწვიეს ნაკრებში. ოლიმპიური გუნდის წევრობიც ვიყავი, მოსამზადებელი ეტაპი თანაგუნდელებთან ერთად გავიარე. ყველა წინაპირობა, რაც ოლიმპიადაზე წასვლის ვითომცდა გარანტიას იძლეოდა, წარმატებით შევასრულე, მაგრამ ტოკიოში მაინც არ წამიყვანეს. მართალია, გუნდი ისეთი ძლიერი ოსტატებით დაკომპლექტეს, როგორნიც იყვნენ: ლარისა ლატინინა, პოლინა ასტახოვა, თამარ მანინა და თამარ იურინა. მაგრამ, მგონია, ამ თანავარსკვლავედშიც მოიძებნებოდა ჩემი ადგილი და ზედმეტი სულაც არ ვიქნებოდი. ერთი წლის შემდეგ დორტმუნდში გავემგზავრეთ მსოფლიო ჩემპიონატზე. მეგონა, უეჭველად ვიასპარეზებდი, მაგრამ, ბოლო მომენტში მწვრთნელთა საბჭომ, რომლის შემადგენლობაში 90 პროცენტი, რა თქმა უნდა, რუსი იყო, ეგრეთ წოდებული ფარული კენჭისყრით გადაწყვიტა, ჩემს ნაცვლად ოლგა ხარლოვა გამოსულიყო.

რა უნდა მექნა. გავჩუმდი. ასეთ დროს პრეტენზიების გამოხატვა უადგილო და, ცხადია, უშედეგო იყო. ჩაება გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში, ერთხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ ჩემს საყვარელ სპორტში — ბჯენით ხტომებში — თითქმის ყველა ჩემმა კოლეგამ „გაიფუჭა" ვარჯიში და ჩემპიონები მასპინძლები — გერმანელი ტანმოვარჯიშეები გახდნენ. თავიდან მწვრთნელები იხტიბარს არ იტეხდნენ. ჯანუყაშვილიც რომ ყოფილიყო, არაფერი შეიცვლებოდა, მარცხისთვის ვიყავით განწირულნი: მაგრამ მალე „სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ გუნდში ჯანუყაშვილის არყოფნამ დაგვაკარგვინა ოქროს მედლებიო და ეს მოსაზრება სპეციალისტების მიერ იყო დასაბუთებული. შემდეგ კი მიხვდნენ, რაც გააკეთეს. მაგრამ ჩემთვის ეს რა შეღავათი იყო — კიდევ ერთი შანსი წამერთვა თავის გამოჩენისა და ჩემი შესაძლებლობების გამოვლენისა.

● და მაინც, წარმატებების ხიმცირე არ დაგეჩივლებათ...

— არა, ჩიკილი რა სახსგნებელია, ჩემთვის დაუვიწყარია 1965 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, როცა ბჯენით ხტომებში ჩემპიონი გავხდი, დვირზე ვარჯიშში კი მესამე ვიყავი. ამას განეფოთამაშები შოჰყვა, რომელსაც ინდონეზიის დედაქალაქმა ჯაკარტამ უმასპინძლა — აქაც ორი მედალი მოვიგე — ბრინჯაოსი ორძელზე ვარჯიშში და ვერცხლისა საერთო ჩათვლაში. კიდევ იყო გამარჯვებები, მაგრამ მას შემდეგ არა ერთი და ორი წელი გავიდა და ამიტომ ყველას ვერ ვიხსენებ.

● სპორტულ ტანვარჯიშში ხშირია ტრავმები, ამიტომ ამ სახეობის მომდევართ ხშირად უწევთ გაუთვალისწინებელი „პაუზები" — შეჯიბრებების, შეკრებების გამოტოვება. თქვენ თუ გიგემიათ ტრავმით გამოწვეული ეს არამარტო ფიზიკური ტკივილი?

— სერიოზულად არ დავშავებულვარ, მაგრამ 1967 წელს ხალხთა სპარტაკიადაზე დვირიდან ჩამოვვარდი. არადა, ბოლო ვარჯიშს ვასრულებდი. რომლის წარმატებით დასრულებაც III ადგილს მომიტანდა. საბოლოოდ, მე-16 ადგილზე აღმოვჩნდი. მახსოვს, პირველად და უკანასკნელად ჩემი სპორტული ცხოვრების მანძილზე, ვიტირე — მე ხომ ყველაზე უშიშარ და შეუდრეკელ გოგონად ვითვლებოდი ჩვენს გუნდში.

სწორედ ეს ეპიზოდი მექცა საბედისწეროდ: სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ საკავშირო ნაკრების შეკრებაზე გამომიძახეს. დაძახება, იცოცხლეთ, უყვარდათ: გავარჯიშებდნენ, ქანცს გაგაცლიდნენ და დიდ შეჯიბრებებს შორიდან გაყურებინებდნენ. მე მაინც ვიუკადრისე ეს მიწვევა. შეკრებაზე კი ჩავედი, მაგრამ შემდეგ დავფიქრდი: როდის იყო მე-16 ნომერს ნაკრებში ეძახდნენ, ეტყობა, შემიცოდეს და შელავთს მიწევენ-მეთქი. აკდექი და წამოვედი. ამით დასრულდა ჩემი სპორტული კარიერა — ჭირი იქა, ლხინი აქა...

● დასრულდა თქვენი, როგორც მოქმედი სპორტსმენის კარიერა, მაგრამ ომარ ფხაკაძის მეუღლე სპორტს ვერ უგანებდით.

— ასეა. ომარის „გადამკიდე" სპორტს როგორ ჩამოვცილდებოდი. 1968 წლის 1 აპრილს შეუღლდით და ამ დღიდან მისი — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერის ყველა საფიქრალ-საზრუნავის მოზიარე გავხდი.

● ქალბატონო ალექსანდრა, თქვენი მეუღლე გამოჩენილი და ცნობილი სპორტსმენია. სამართლიანად გვეამაყება, რომ ასეთები მრავლად გვყავს. მათ შორის, კიდევ ვის მიიჩნევთ სამაგალითოდ?

— ვიქტორ სანეევს. იგი იდეალური სპორტსმენია — შრომისმოყვარე, უნიჭიერესი: ადამიანებთან, კოლეგებთან ურთიერთობაში შეუმცდარი. ამის დასტურად მისივე ხანგრძლივი და გამარჯვებებით აღსავსე სპორტული კარიერა გამოდგება.

● ისეთ სპორტულ ოჯახში, როგორიც თქვენია, შეუძლებელია ბავშვებს თავი აერიდებინათ სპორტისათვის...

— ჩვენმა უფროსმა შვილმა — ბაიამ სპორტის რამდენიმე სახეობაში სცადა ბედი, მაგრამ ყველა ბიატივა. ეს, ალბათ, მისი პიროვნული თვისებების გამო — მეტად მორცხვია, ვერ ეგუებოდა თავისზე სუსტთან ან ასაკით პატარასთან მარცხს და, საერთოდ, მას არა აქვს სპორტსმენის ხასიათი, აი, ვაჟმა, უმცროსმა ომარ ფხაკაძემ კი საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რა თქმა უნდა, ველოსპორტში. სულ ახლახან თანატოლთა საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა.

● იქნებ მანაც შეუტოიოს იმ სიმაღლეებს, მამამისი რომ ლაშქრავდა?

— ღმერთმა ქნას, თუმცა მათ შორის მეტად დიდი განსხვავებაა. მართალია, უმცროს ომარს მამამისის ბევრი თვისება გამოჰყვა, მაგრამ მასავით შრომისმოყვარე და მუყაითი არ არის. არადა, ეს უმთავრესია სპორტში. თუ ეს ნაკლი გამოასწორა, იქნებ არც თქვენი ნათქვამი იყოს საფუძველს მოკლებული.

აქვე ვიტყვი, რომ მამის სახელი და ავტორიტეტი ბევრ რამეში უშლის ხელს, თუმცა ბევრშიც სიკეთოდ ადგება. ადამიანი სპორტსმენი არაა და ამისდაგარეშე ეს ინდივიდუალობა, თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭი, ალბათ, ბევრ სპორტსმენს ეყოფა.

● თქვენ საკმაოდ იშვიათად აგონდებით ჟურნალისტებს. ამან იქნებ გაგანწყენოთ კიდეც...

— სრულებითაც არა. მართალია, მე არცთუ ისე ხშირად მახსენებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, რასაც მაკლებთ, ჩემს მეუღლეს მიაგებთ ათწილად, რა ხანია, სპორტს ჩამოცილდი და ,ფოსტას რომ მივიღებთ სახლში, პირველად „ლელოს" წავეტანები ხოლმე, რომელიც დღესაც ჩემი უსაყვარლესი გაზეთია. „ლელოს" სიყვარული კი თავისთავად იმას ნიშნავს, რომ თქვენზე გაანწყენებული არა ვარ.

ქალბატონ ალექსანდრას ხასიათში ჩაბუდებულმა სათნოებისა

და მიმტევებლობის ნიჭმა არ ათქმევინა მას საყვედური, თორემ სასაყვედურო როგორ არა აქვს — სამ ათეულ წელზე მეტი „დაგვჭირდა", რომ კვლავ შეგვეხსენებინა სპორტის მოყვარულთათვის მისი სახელი.

ესაუბრა ლევან ჯავახიშვილი.

ქართველთა მხედრული ისტორიის ერთი ბრწყინვალე ფურცელი

ქართველმა მებრძოლებმა მსოფლიო ომების მატიანეში ჩაწერეს არაერთი ბრწყინვალე ფურცელი. არაჩვეულებრივი გმირობით, საზრიანობითა და რაინდული თვისებებით გამოირჩეოდნენ, როგორც სამეფო ლაშქრის სარდალნი და ჯარისკაცნი, ასევე ქართულ სამეფოთა დამცრობის ჟამს უცხოეთში მებრძოლი ჩვენი ქვეყნის შვილნი. სამშობლოს შიდა და გარე მტრებთან ომში თავდადებისა და შეუპოვრობის დიდებული მაგალითი გვიჩვენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა და სახალხო გვარდიამაც.

დღეს, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს და მისი მეთაურის, ბატონ ზვიად გამსახურდიას უშუალო ხელმძღვანელობითა და სულჩადგმით ქართული მილიცია იძენს უმეტეს ზენა ფუნქციებს და ყალიბდება ეროვნული გვარდია, ჯერ არს კვლავ ჩავიხედოთ ჩვენს სახელოვან წარსულში და იქ ვეძიოთ ჩვენი სამხედრო ნიჭის ნათელმყოფელი ფაქტები.

ამიტომაც, ვაქვეყნებთ ერთ დოკუმენტს, რომელიც დასტურჰყოფს ქართველთა სამხედრო თუ სპორტული უნარის (ადრე ხომ ეს იყო ერთმანეთის მომჯობნაკე ან ერთურთის გადამკვეთი ცნებები). სულიერი მუხტის თუ ფიზიკური ძალმოსილების ტრადიციულ მომდინარეობასა და ისტორიულ საფუძველს, კერძოდ კი იმას, თუ რარიგ დიდ პატივს მიაგებდა ჩვენს თანამემამულეთა სპორტულ-მხედრულ შემართებას და თუ გნებავთ, სპორტულ-მეომრულ იერსაც, ისეთი უძლიერესი ქვეყანა, როგორიც გახლდათ რომის იმპერია.

კონსულტაციისათვის მივმართეთ ქართველ სწავლულებს, ისტორიკოს გივი გამრეკელს და ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი მანიშვილს. პირველმა მიგვითითა ქვემოთ მოყვანილ უძველეს წყაროზე, მეორემ — ქართველი მეომრის სიმბოლოდ შესაფერ, ძალზე შთამბეჭდავ, ექსპრესიულ ნახატზე. ეს ყოველივე, შევმოსეთ გარკვეული ლიტერატურული ფორმით. და ასე შეიკონა ეს მცირე, მაგრამ მრავლისმეტყველი ისტორიული საბუთი, თვალსაჩინოებისათვის გამოსადეგ ნახატთან ერთად.

ედიშერ ბეროზაშვილი

„გამოჩენილი ისტორიკოსის, დიონ კასიოსის „რომის ისტორიაში" (წიგნი XX, თავი II) კეთხულობთ:

„როს ფარასმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად ეწვია რომს, ანტონინუს პიუსი დაესწრო ფარასმანეს, მისი ვაჟის და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშს, გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა და ენიალონში დაადგმევინა მისი ცხენოსანი ქანდაკება".

კახტელის ნახატი — მაია გურიელი.

ამ ციტატის განმარტებისათვის ვიტყოდით, რომ იბერიის მეფე ფარსმან II (ფარსმან ქველი), ვინაც ახალი წელთაღრიცხვით II საუკუნის 30-60-იან წლებში სათავეში ედგა აღმოსავლეთ ქართულ სამეფოს, მეტად მომძლავრდა და სულაც არ ეპუებოდა მთელს მსოფლიოში თვით ისეთ უდიდეს იმპერიას, როგორიც იყო დიდების ზენიტს მიღწეული რომის იმპერია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რომის იმჟამინდელი იმპერატორი, სახელგანთქმული ადრიანე (117-138 წ.წ.) იძულებული ხდება, თვალი დახუჭოს იბერიის მეფის აშკარად გამომწვევ საქციელზე, რის მან მომთაბარენი გადმოატარა დარიალის ხეობაზე და ისინი მცირე აზიას შეუსია.

ადრიანეს მემკვიდრე, ანტონინუს პიუსი (138-161 წ.წ.) შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავლად ცნობს დაუყვავოს ფარსმანს, რომელიც თავისთავად ცხადია, სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფალია და მხოლოდ ფორმალურად თუ სცნობს რომის იმპერატორის უზენაესობას. ანტონინუს პიუსი, ასე გასინჯეთ, ამითაც კმაყოფილია და ფარსმანის შიმართ ვარკვეულ ტერიტორიულ დათმობაზეც მიდის. რომის იმპერატორები აგრე სისტემატურად ირჯებიან შემდგომ საუკუნეებშიც, მაგრამ II საუკუნეში ამ უმძლავრესი იმპერიის მიერ ტერიტორიის დათმობის ფაქტი, ისიც ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველო გახლდათ, სრულიად უნიკალური მოვლენაა.

ასევე გამონაკლისი შემთხვევაა ენიალონში (ომის ღმერთის, მარსის ბერძნული სახელწოდება) თუნდ ფორმალურად, მაგრამ მაინც ვასალი მეფის ცხენოსანი ფიგურის ქანდაკების დადგმა. ამით უკვე, ფაქტობრივად, რომის იმპერიას ხელქვეითთან კი არა აქვს საქმე, არამედ ლამის სწორუფლებიან ხელისუფალთან, რაც დასტურჰყოფს იბერიის სამეფოს ძლიერებასა და მისი მეფის ავტორიტეტს.

ის, რომ იმპერატორი დაესწრო უცხოელი მეფისა და მისი სამხედრო ამალის სამხედრო ვარჯიშს მარსის მინდორზე, სადაც ჩვეულებრივ წარჩინებული რომაელნი ვარჯიშობდნენ, გამოკვეთს ქართველთადმი დიადი რომის საგანგებო პატივისცემას. ამ პერიოდისათვის ისტორიაში არ იპოვება რომაელთა ასეთი დამოკიდებულების მაგალითი რომელსამე სხვა მცირე ერისადმი; ხოლო ცხენოსანი ფიგურის დადგმა დიაღაც უიშვიათესი მოვლენაა რომის იმპერიის არსებობის მთელ დროის მანძილზე.

ამბავი ესე მართლაც ოქროს ასოებით ჩასაწერი გახლავთ ქართველთა მხედრულ მატიანეში.

„იმერეთის სადროშოს“ თასი

ანუ... მომღერალი ფეხბურთელები ქუთაისიდან

გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ ამას წინათ სცადა სენსაციური ამბავი მიეწოდებინა მკითხველებისათვის — იტალიაში ჩამოყალიბდა მომღერალ ფეხბურთელთა გუნდი, თვით ჯანმორანდისა და რიკარდო ფოლის მონაწილეობითო. იქვე „მიკროფონის ოსტატთა“ გუნდის მოზრდილი ფოტოსურათიც დაიბეჭდა.

ჩვენს მკითხველს ეს ამბავი შეიძლება სულაც არ მოეჩვენოს უჩვეულოდ, თუ გაიხსენებს იმას, რომ „ლელოს“ გასული წლის ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის ლაურეატს — თბილისის „იბერიას“ და ჩვენი თასის ასევე პირველ მფლობელს — ლანჩხუთის „გურიას“ წარმატებები მიულოცა ქუთაისელ მუსიკოსთა საქველმოქმედო საფეხბურთო კლუბმა „კოლხმ“.

დიახ, ქუთათურებმა შარშან, აგვისტოში, ჩამოაყალიბეს ფეხბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაშ... მხოლოდ მომღერლები არიან. ამ საქმის მოთავენი არიან ქუთაისელი ახალგაზრდები: ავთანდილ ძოწენიძე, დავით შავლაყაძე, გურამ გერაძე, მურთაზ იობიძე და გოჩა ტყეშელაშვილი. ყოველი მათგანი მომღერალია და ყველას ძალიან უყვარს ფეხბურთი. მათ, ასე ვთქვათ, ბევრჯერ გაუგორებიათ ტყავის ბურთი, თუმცა პროფესიონალი ფეხბურთელი არც ერთი მათგანი არ ყოფილა.

როგორც წესი და რიგია, გაიმართა კლუბის დამფუძნებელი კრება, დაამტკიცეს წესდება; აირჩიეს პრეზიდენტი (გოჩა ტყეშელაშვილი), ვიცე-პრეზიდენტი (დავით შავლაყაძე), გამგეობა: ჩამოაყალიბეს სამუშაო სექტორები. გუნდის კაპიტნად ავთანდილ ძოწენიძე აირჩიეს: წარმოიდგინეთ, „კოლხას“ საკუთარი სოციოლოგ-ფსიქოლოგიც (ფარვიზ ზარქუა) ჰყავს. სწორედ მან დაანათლა კლუბს ეს სახელი.

ოქტომბერში გუნდს ოფიციალური „შტატიანი“ მწვრთნელიც მოევლინა — სამტრედიის „სანავარდოს“ ყოფილი მცველი ნოდარ ქელიძე. გუნდმა სისტემატური ვარჯიში დაიწყო, როგორც ფეხბურთში, ისე... ქართულ ხალხურ სიმღერებში. აქ კი ფეხბურთელებს სრულიად უსასყიდლოდ „ავარჯიშებს“ ქუთაისის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი თომა კარანაძე. „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „შავლეგო“, „შენ, ბიჭო ანაგურელო“, „წინწყარო“, „ასლანური მრავალჟამიერი“, „აბა, ულა“ (რომელიც კლუბის თავისებურ ჰიმნად იქცა) და სხვა სიმღერები შეადგენენ მომღერალ ფეხბურთელთა გუნდის რეპერტუარს. უკვე გაიმართა „კოლხას“ პირველი საქველმოქმედო საღამო ქუთაისის მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატში. სხვათა შორის, მის ბინადრებს გუნდის წევრებმა კონცერტის შემდეგ საშობაო საჩუქრებიც გადასცეს.

კლუბის თაოსნობით იანვრის დამდეგს ქუთაისში მოეწყო საქველმოქმედო ტურნირი მინიფეხბურთში — „იმერეთის სადროშოს“ გარდამავალი თასის გათამაშება. ორგანიზატორებს დიდი დახმარება გაუწიეს სპონსორებმა — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს მონარქისტული პარტიის ქუთაისის სადროშომ, ტრესტ „ავტორემმშენმონტაჟმა“, ქალაქის ექიმთა ასოციაციამ. აღსანიშნავია, რომ ტურნირის შემოსავალი გადაერიცხათ იმ პირებს, რომლებიც საქიროებენ საზღვარგარეთ მკურნალობას.

ორიოდე სიტყვა, ალბათ, თვით შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებზეც უნდა ვთქვათ: ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ „კოლხა“ და ექიმთა ასოციაციის გუნდი „ჰიპოკრატე“. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 4:3 (1:2) გაიმარჯვა „კოლხამ“. მას გადაეცა თასი (იგი დააწესა მონარქისტულმა პარტიამ), რომელიც ამიერიდან გარდამავალი იქნება. ერთი სიურპრიზის შესახებაც: ამ მატჩის შემდეგ გამოცხადდა, რომ ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტი გამარჯვებულ გუნდს ტურისტული საგზურით მიავლენს ერთ-ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, შესაძლოა, იტალიაში. ჰოდა, თუ ასე მოხდა, მომღერალი ქუთათური ფეხბურთელები იქნებ იქ შეხვდნენ ჯანი მორანდისა და რიკარდო ფოლის მომღერალთა გუნდს? მერე კი, ვნახოთ, ეგებ იტალიელებიც ეწვიონ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, მით უფრო, რომ, როგორც შევიტყვეთ, ქუთაისელები შემოდგომაზე აპირებენ ჩაატარონ ხელოვნების მუშაკთა საფეხბურთო ტურნირი რევაზ ლაღიძის სახელობის გარდამავალ თასზე. სახელოვან ქართველ კომპოზიტორს ხომ 16 ოქტომბერს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა.

ოთარ ნოზაძე

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

„თამაში კი არა, ომი იქნება!“

VII ჯგუფი

	თ.	ბ.	ქ.
ირლანდია	2	6-1	3
ინგლისი	2	3-1	3
პოლონეთი	2	1-2	2
თურქეთი	2	0-6	0

როგორც კი ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი, დაპირებისამებრ, გადადგა და გუნდის სადავეები თავის ყოფილ თანაშემწეს, გრეჰემ ტეილორს გადაულოცა. უნდა ითქვას, რომ ახალმა ხელმძღვანელმა საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა მიიღო. იტალიაში, როგორც მოგეხსენებათ, ინგლისელები ჩინებულად გამოიყურებოდნენ: გავიდნენ ნახევარფინალში, სადაც მხოლოდ პენალტების სერიით წააგეს მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან — გფრ-ის გუნდთან.

ისე კი, ევროპის პირველობის ჯგუფების განაწილებისას ინგლისის წარმომადგენლები უკმაყოფილონი დარჩნენ — მეშვიდე ჯგუფში თამაშების შედარებით მცირეოდენობა შემთხვევითობის ელემენტს ზრდის. საერთო სტატისტიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, ინგლისელებს შეიძლება საგრძნობი უპირატესობა აქვთ ირლანდიელებთან, მაგრამ ეს გუნდი მათ ბოლო წლებში ძალიან „შეეჩვია“. ისიც ვთქვათ, რომ ირლანდიელებს ინგლისელი მწვრთნელი — ჯეკი ჩარლტონი ხელმძღვანელობს და მათი ყველა მოთამაშე ინგლისის ლიგებში გამოდის. ყოფილა შემთხვევა, როცა პოლონელებსაც გაუმწარებიათ ინგლისელები.

და აი, დაიწო შესარჩევი თამაშები. 17 ოქტომბერს ინგლისელებმა „უემბლის“ სტადიონზე პოლონელები მიიღეს. მატჩს, რომელსაც იტალიელი ტულიო ლანეზე სჯიდა, 77 ათასი (!) მაყურებელი ესწრებოდა — დღეისათვის უჩვეულოდ დიდი რიცხვი. პოლონეთის ნაკრებს, რომელსაც ახლა არ ეყენა სტრეიკაუ წვრთნის, მაღალი, საერთაშორისო კლასის მოთამაშეები არა ჰყავს, ძირითადად ახალგაზრდებისაგან შედგება. რაც შეეხება ინგლისელებს, ამ ნაკრებს, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა სახელგანთქმული მეკარე შილტონი. ამასთან, ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა ბრაიან რობსონი, რომელსაც ხან მხარი ამოუვარდება, ხან მუხლი უზიანდება. მის ნაცვლად გუნდის კაპიტნად ლინეკერი აირჩიეს. აი, ინგლისელთა შემადგენლობა ამ მატჩში: ვუდსი, დიქსონი, პარკერი, რაიტი, უოლკერი, პირსი, პლატი, გასკოინი, ბარნსი, ბული (უოდლი), ლინეკერი (ბერდსლი).

პოლონელებმა მთელ მინდორზე მკაცრ პრესინგს მიმართეს, ბრძოლა შეუპოვარ ხასიათს ატარებდა და, უნდა ითქვას, მასპინძლებს გაუჭირდათ მოგება. 38-ე წუთზე ლინეკერმა, რომელიც ახლა ძალიან შედეგიანად თამაშობს, გახსნა ანგარიში. მეორე ბურთი თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ბერდსლიმ გაიტანა 20 მეტრიდან ბრწყინვალე დარტყმით — 2:0. ამ მატჩის ჩათვლით ინგლისელებს პოლონელებთან 8 შეხვედრიდ შემდეგ 4 მოგება, 3 ფრე და 1 წაგება აქვთ; ბურთების სხვაობაა 11-4.

ამავე დღეს ირლანდიელებმა თურქეთის ნაკრები მიიღეს. დუბლინის მატჩს 46 ათასი მაყურებელი ესწრებოდა — სრულიად უჩვეულო რიცხვი ამ ქალაქისათვის. ირლანდიის ნაკრების ინგლისელი მწვრთნელი ჯეკი ჩარლტონი, მისი რთული ხასიათის მიუხედავად, ირლანდიელების ნამდვილი კერპი გახდა. თურქებს ახლა მეტად პოპულარული მწვრთნელი ჰყავთ — განთქმული გერმანელი ზეპ პიონტეკი, რომელმაც ადრე დანიის ნაკრები „აღაზევა“, მაგრამ იმ დღეს...

„მინდორზე სხვადასხვა კლასის გუნდები იყვნენ. მასპინძლებმა თურქებს წაუკითხეს ლექცია თემაზე. როგორ უნდა ფეხბურთის თამაში“, — წერდა დუბლინელი ჟურნალისტი პატრიკ ოროქსა. 5:0 — ასე დასრულდა ეს შეხვედრა. 3 გოლი ირლანდიელთა ცნობილმა ვეტერანმა, 32 წლის ჯონ ოლდრიჯმა გაიტანა.

და აი, შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩიც: 14 ნოემბერს ირლანდიელებმა ინგლისელები მიიღეს. ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ, ინგლისელებს აქამდე დიდი უპირატესობა ჰქონდათ (5 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთების სხვაობა 16-9), მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ეხება ბოლო წლებს, როცა ჩარლტონმა ირლანდიის მანამდე უმნიშვნელო ძალის ნაკრები გადაახალისა, ახალი პერსპექტივები დაუსახა. გავიხსენოთ, რომ ირლანდიელებმა ინგლისელებს ევროპის 1988 წლის ჩემპიონატში სძლიეს. მსოფლიოს უკანასკნელ პირველობაზე კი მატჩი ფრედ დამთავრდა.

გრეჰემ ტეილორმა იცოდა, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები ყველაფერს აპატიებდნენ, ირლანდიელთან დამარცხების გარდა. მატჩის წინ მან თავისი გუნდის ყველაზე ტექნიკურ, ძალიან ძალზე პოპულარულ ფეხბურთელ პოლ გასკოინს უთხრა: „დღეს შენ კი არ ითამაშებ, იომებ! იცოდე, თამაში კი არა. ნამდვილი ომი იქნება“.

მატჩს, რომელსაც იტალიელი პიეტრო დელვა სჯიდა, 42 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. გუნდების შემადგენლობები: ირლანდია — ბონერი, მორისი, მაკარტი, ო'ლირი, სტაუნტონი, უელანი (მაიუგლინი), მაკგრატი, ჰოუგტონი, თაუნსენდი, კუინი (კასკარინო), ოლდრიჯი. ინგლისი — ვუდსი, დიქსონი, ადამსი, უოლკერი, რაიტი, პირსი, პლატი, გოვენსი, მაკმაჰონი, ბერდსლი, ლინეკერი.

მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, რასაც ინგლისელები სახიფათო კონტრიერიშებით პასუხობდნენ. 69-ე წუთზე მაკმაჰონ-დიქსონ-პლატის ჩინებული კომბინაციით გოლით დაგვირგვინდა. ირლანდიელებმა ანგარიში მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გაათანაბრეს (კასკარინო) — 1:1. მატჩის შემდეგ ინგლისელი ფეხბურთელები ძალზე კმაყოფილნი იყვნენ, ხოლო დუბლინში მრავლად ჩასულმა მათმა გულშემატკივრებმა „ტრადიციული“ აყალმაყალიც გამართეს. ისე რომ, 30 კაცს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

ჯგუფში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. პოლონელებმა სტუმრად სძლიეს (1:0) თურქებს. ეტყობა, ზეპ პიონტეკის გაკვეთილებს ჯერჯერობით შედეგი არ მოაქვთ.

ახლა ჯგუფში შესვენებაა 27 მარტამდე, როცა ინგლისელები უმასპინძლებენ ირლანდიელებს. ამ მატჩს, ცხადია, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინგლისელები შეეცდებიან ვზიდან ჩამოიცილონ ირლანდიელები. თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ მათ დავაში პოლონელებიც ჩაერიონ, თუმცა ანჯეი სტრეიკაუ აცხადებს, რომ ნამდვილი, ძველებურად ძლიერი ნაკრების ჩამოსაყალიბებლად დიდი დროა საჭირო.

ბივი თორელი

„ცხუმი“ ემზადება

სოხუმის „ცხუმის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც დაბა ეშერის სპორტბაზაზე გადიან საწვრთნელ შეკრებას, კიდევ ორი საწვრთნელი შეხვედრა გამართეს. ჯერ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ახაპის „სპარტაკი“ (ბურთები გაიტანეს მალანიამ, გოგრიჭიანმა და გოგიაშვილმა), შემდეგ კი 6:2 მოუგეს წყალტუბოს „სამგურალს“. აქ 3 ბურთი გოგრიჭიანმა გაიტანა წყალტუბოელთა კარში, 2 — იური გაბესკირიამ, ერთიც — გოგიაშვილმა.

თენგიზ პაპკორია

„ლელოს“ ხაკ. კორ.

გერმანელები ფინალს „ეპატიჟებიან“

გაისად სრულდება მიუნჰენის ოლიმპიადის 20 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, გერმანელები გრანდიოზული ზეიმის მოწყობას აპირებენ. მათ თხოვნით მიმართეს უეფა-ს, რათა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი მიუნჰენის ოლიმპიურ სტადიონზე დაინიშნოს. თუ უეფ-ა ამ თხოვნას ყურად იღებს, გერმანელები იმგვარად შეაკეთებენ ოლიმპიურ სტადიონს, რომ მასზე ალარ იყოს ფეხზე დასადგომი ადგილები.

მარადონას დაბრუნება

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-20 ტურში „მილანმა“, მიუხედავად გულიტის, ვან ბასტენისა და. რაიკაარდის საუცხოო თამაშისა, სტუმრად მხოლოდ ფრეს მიაღწია „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში — 0:0. ამ დღეს „იუვენტუსმა“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ჩეზენა“, ახლა „მილანსა“ [illegible] „იუვენტუს“ 27-27 ქულა აქვს, ხოლო 28 ქულით ლიდერობს „ინტერი“, რომელმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ტორინო“ და „სამპდორია“. ამ უკანასკნელმა სტუმრად მოუგო „ბოლონიას“ — 3:0.

„ნაპოლიმ“ შინ დაამარცხა „პარმა“ — 4:2. ნეაპოლელთა რიგებში საუცხოოდ ითამაშა მარადონამ (2 გატანილი ბურთი).

„ბარსელონა“ — უკონკურენციოდ

ესპანეთის ჩემპიონატის 22-ე ტურში „ბარსელონამ“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა „ბეტისი“ (4:2) და 36 ქულით კვლავინდებურად ლიდერობს.

„ბარსელონას“ 4 ქულით ჩამორჩება მადრიდის „ატლეტიკო“, რომელმაც სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ვალიადოლიდი“, ბურთები 85-ე და 89-ე წუთებზე გაიტანეს შუსტერმა და ალფრედომ. მადრიდის „რეალი“ „მალიორკასთან“ შეხვედრაში 75-ე წუთზე გადაარჩინა სანჩესმა — 1:1.

ვაი, ასეთ ქომაგობას

საბერძნეთის ქალაქ პირეოსის სტადიონზე შეწყდა ადგილობრივი „ოლიმპიაკოსისა“ და ათენის „ათინაიკოსის“ შეხვედრა. ანგარიში იყო 2:2, თამაშის ბოლომდე 7 წუთი რჩებოდა, როცა მსაჯის საცეკვად მინდორზე გადაცვივდნენ გულშემატკივრები. არბიტრმა დატოვა მინდორი და თამაშიც შეწყდა.

ეს უკვე ჩემპიონატის მეორე მატჩია, როცა „ოლიმპიაკოსს“ არ შეუძლია თამაშის დამთავრება გულშემატკივრების ხულიგნური გამოხტომის გამო. ასეთი ამბავი მოხდა აეკთან შეხვედრაშიც პირეოსის სტადიონზე, სადაც პოლიციას ცრემლმდენი გაზის გამოყენება დასჭირდა. „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელმა ო. ბლოხინმა განაცხადა, რომ ქომაგები ძალზე მძიმე მდგომარეობაში აყენებენ გუნდს.

ამასობაში საბერძნეთის ჩემპიონატის ლიდერმა „პანათინაიკოსმა“, ანგარიშით 2:0 დაამარცხა „იონიკოსი“ და 30 ქულა მოაგროვა. „ოლიმპიაკოსი“ მთავარ კონკურენტს 5 ქულით ჩამორჩება.

გამწვავდა ლიდერობისთვის ბრძოლა ინგლისში. უამინდობის გამო არ შედგა რამდენიმე შეხვედრა. განვლილ ტურში „მანჩესტერ სიტიმ“ მოუგო „ჩელსის“ — 2:1, ხოლო „ლივერპულმა“—„ევერტონს“ 3:1. პირველი ადგილისთვის ძირითადად იბრძვიან „ლივერპული“ და „არსენალი“, მესამე ადგილზეა „კრისტალ პალასი“.

საფრანგეთი. პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე 38.766 მაყურებელი დაესწრო „პარი სენ-ჟერმენის“ შეხვედრას ლიდერთან — „მარსელთან“. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა „მარსელმა“ (1:0), რომელსაც 26 ტურის შემდეგ 38 ქულა აქვს და 5 ქულით უსწრებ. ძეორე ადგილზე მყოფ „მონაკოს“, რომელმაც განვლილ ტურში შინ დაამარცხა „მეცი“ — 2:0.

არგენტინა. აქ ამჟამად მცირე შესვენებაა. ერთი თვის შემდეგ, განახლდება გათამაშების მეორე წრე. ლიდერთა ჯგუფში გარკვეული ცვლილებებია. დაწინაურდა „ნეველს ოლდ ბოიზი“, რომელმაც 19 ტურის შემდეგ 28 ქულა დააგროვა. ცხობილი „ლივერ პლეიტი“ 2 ქულით ჩამორჩება. ხოლო მესამე ადგილზე მყოფ „ველეს სარფილდს“ 24 ქულა აქვს. „არგენტინოს ხუნიორსმა“ და „როსარიო სენტრალმა“ 23-23 ქულა დააგროვეს. ცნობილი კლუბები „ბოკა ხუნიორსი“ და „რივერი“ შესაბამისად მეორე და მეცამეტე ადგილებზე იმყოფებიან.

ტურნირიც ამას ჰქვია!

ეს არნახული სიძლიერის ტურნირი იქნება, კოეფიციენტის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ჭადრაკის ისტორიაში, ერთადერთი, რომელსაც დღემდე მიუღწეველი მეჩვიდმეტე კატეგორია ენიჭება.

ეს შეჯიბრება — ლინარესის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება (ენაცვლება ასევე ტრადიციულ ტურნირს იუგოსლავიის ქ. ბუგოინოში) — 22 თებერვალს იწყება, 15 მარტამდე გასტანს და, ცხადია, საყოველთაო ინტერესს გამოიწვევს მთელ მსოფლიოში.

აქამდე ლინარესში არასოდეს შეკრებილა 14 მონაწილე, ახლა კი აქ თოთხმეტი განთქმული დიდოსტატი, თანამედროვე ჭადრაკის ნამდვილი ელიტა მოიყრის თავს.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონის ყოველი გამოსვლა საჭადრაკო სამყაროსთვის განსაკუთრებული მოვლენაა. კასპაროვ-კარპოვის მატჩი იანვრის პირველ რიცხვებში დასრულდა და, შესაძლოა, თვე-ნახევრის შესვენება ამ ორთაბრძოლის მონაწილეებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდეს. ასეა თუ ისე, გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის პაექრობა ამჯერად სხვა დონეზე გაგრძელდება. ახლა მათ რიგით 156-ე (!) შეხვედრა მოელით, უპრეცედენტო „მწკრივი“ ჭადრაკის ისტორიაში. ისიც გავიხსენოთ, რომ საერთო ანგარიშით კასპაროვი სამი ქულით არის წინ. წლეულსვე დაიწყება ამ „მუდმივი მეტოქეების“ შეხვედრებიც მსოფლიო თასის მეორე გათამაშებაში. არც რომელიმე სხვა საერთაშორისო ტურნირში მათი ერთობლივი გამოსვლაა გამორიცხული.

რა თქმა უნდა, გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელიან ორი ახალგაზრდა დიდოსტატის — ბორის გელფანდისა და ვასილი ივანჩუკის თამაშს. ისინი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების „რანგ-ლისტში“, შესაბამისად, მესამე და მეოთხე ადგილებზე არიან; ახლახან პრეტენდენტთა მერვედფინალური მატჩებიც მოიგეს: გელფანდმა ძალიან ძნელად — იუგოსლავიელ პრედრაგ ნიკოლიჩთან, ივანჩუკმა — ძალიან ადვილად ლეონიდ იუდასინთან, სადაც კინაღამ ფიშერის რეკორდი გაიმეორა. რა თქმა უნდა, ამ მატჩებმა ახალგაზრდა დიდოსტატების დიდი ენერგია „შეიწირა“. შეიძლება, ამ ტურნირში ეს გარემოება მათ დაეტყოთ კიდეც — ზედიზედ ორ ასეთ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში გამოსვლა ძალიან ძნელია. ამის მიუხედავად, პირველ რიგში, თვით გელფანდი და ივანჩუკი არიან, რომლებმაც შარშან ერთმანეთის მიყოლებით მოწყობილ მსოფლიო თასის ფინალურ ტურნირში და საზონთაშორისო ასპარეზობაში ითამაშეს, თითო მარცხი განიცადეს და თითო გამარჯვება იზეიმეს. თუმცა დავიცადოთ, ყოველივე ამას კანონად ნუ მივიჩნევთ. ისე კი, თუ ვინმე ითვლება დღეისათვის კასპაროვისა და კარპოვის მეტოქედ, პირველ ყოვლისა, სწორედ გელფანდი და ივანჩუკი. ვნახოთ...

კიდევ ერთი დიდოსტატი ჩავა ლინარესში საკმაოდ დაღლილი. ეს გახლავთ არტურ იუსუპოვი, რომელსაც შარშან დიდი თავგადასავლები გადახდა — მიუნხენიდან დაბრუნებულ იუსუპოვს ყაჩაღები დღისითმზისით შეეპრნენ სახლში, დიდი ფულადი პრიზი წაართვეს (სხვა დანაკარგზე რომ აღარაფერი ვთქვათ) და დაპრეს ციდეც. ამ დღეებში იუსუპოვმა ვეიკ-ან-ზეეში, პრეტენდენტთა მერვედფინალურ მატჩში, მართალია დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც სძლია სერგეი დოლმატოვს და მხნე განწყობილება დაიბრუნა. ვალერი სალოვმა სულ ახლახან არცთუ ბრწყინვალედ ითამაშა ვეიკ-ან-ზეეს საერთაშორისო ტურნირში. იაან ელვესტი, მართალია, „მეორე კერესი“ არ არის, მაგრამ რამდენიმე დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. კარგად დასვენებული და მომზადებული ალექსანდრე ბელიავსკი კი ზოგჯერ ძალიან საშიშია თვით უძლიერესი მეტოქეებისთვისაც კი. იყო შემთხვევა, როცა მან კარპოვსაც გაუსწრო. არავის გაუკვირდება, თუ გარკვეული „გამართლების“ შემთხვევაში ბელიავსკი კასპაროვის მეტოქეც გახდება. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ თუ ლვოველს თამაში არ გამოუვიდა, არ არის გამორიცხული, იგი სატურნირო ცხრილის „ფსკერზე“ აღმოჩნდეს.

21 წლის ინდოელი ვისვანათჰან ანანდი ყოველი ახალი შეჯიბრებით სულ უფრო მეტ ავტორიტეტს იძენს. მან ახლახან სასტიკი მარცხი აგემა დიდი შეუპოვრობით ცნობილ ალექსეი დრეევს. ამ უკანასკნელ ხანებამდე ანანდს პირველხარისხოვან საერთაშორისო ტურნირებში თითქმის არ იწვევდნენ. ასე რომ, ახლა ინდოელი პირველად შეხვდება მსოფლიოს არაერთ უძლიერეს მოჭადრაკეს და ამ პარტიების შედეგები ძალზე საინტერესოა.

39 წლის იან ტიმანს, როგორც ცნობილია, უმდიდრესი გამოცდილება აქვს. ამასთან, მისი სატურნირო შედეგები ძლიერ არათანაბარია: წარმატებებს წარუმატებლობები მოჰყვება ხოლმე. ახლა, თუ რობერტ ჰიებნერთან დამჯერებლად მოგებულ მატჩს გავითვალისწინებთ, ჰოლანდიელს ახალი იღბლიანი „სერია“ ეწყება, ანუ შემთხვევაში იგი შეიძლება ძლიერ სახიფათო მეტოქედ იქცეს. ხუგოსლავიის №1 მოჭადრაკე ლიუბომირ ლიუბოევიჩი უკვე რამდენიმე წელია მუდმივად ლინარესში ცხოვრობს თავის ესპანელ ცოლ-შვილთან ერთად, ლინარესელები უკვე შეეჩვივნენ ამ მეტად ენერგიულ, კომბინაციური სტილით მოთამაშე დიდოსტატს, რომელსაც საერთაშორისო ტურნირებში არაერთი პირველი პრიზი აქვს მოპოვებული. ცნობილი ინგლისელი მოჭადრაკე ჯონათან სპილმენი მეტად ორიგინალურად თამაშობს, მისი ჩანაფიქრის გამოცნობა ძალზე რთული ამოცანა გახლავთ.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, 16 წლის გატა კამსკის შესახებ. როგორც ცნობილია, მან ოქტომბერში ტილბურგში ბრწყინვალედ ითამაშა და პირველი-მეორე ადგილები გაიყო ივანჩუკთან, რომელსაც მიკრომატჩი მოუგო. რას მიაღწევს კამსკი უძლიერესი შემადგენლობის სუპერტურნირში? ვფიქრობთ, ამაზე წინასწარ ლაპარაკი ძალიან ძნელია.

ჩვენ შეჯიბრების 13 მონაწილეზე ვილაპარაკეთ. მეთოთხმეტე იქნება ან 60 წლის ვიქტორ კორჩნოი, ან ესპანელი მიგელ ილესკასი, ან მიხეილ გურევიჩი.

შეიძლება მონაწილეთა შემადგენლობაში რაიმე ცვლილებებიც მოხდეს, მაგრამ, ექსპერტების აზრით, ისინი მეტად მცირე იქნება.

ბიბი გამრეკელი

ნანინის საჩუქარი პატარა ლეონარდოს

იტალიის ქალაქ ბრეშიაში სპეციალისტების წინაშე წარდგა განახლებული „სკუდერია იტალია“ ანუ „დალარა“ მთელი შემადგენლობით.

გუნდის მენეჯერია ჯუზეპე (ბეპე) ლუქინი. მისი თქმით, „დალარას“ თეთრ-წითელი ავტომობილი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

„სკუდერია იტალიამ“ მიიღო ინგლისელი კონსტრუქტორის ჯონ ჯადის 10-ცილინდრიანი ძრავა, რომელიც, ინჟინერ ჯანპაოლო დალარას აზრით, კარგად უნდა „გამოვიდეს“ ჩემპიონატში.

დამტკიცდა იტალიელი პილოტი ემანუელე პირო, მიიწვიეს აგრეთვე 25 წლის პილოტი ფინელი ირკი იარვილეჰტო, გამომცდელად კი — ახალგაზრდა იტალიელი ავტომრბოლი ანდრეა მონტერმინი.

„დალარამ“ უკვე გაიარა პირველი ტესტირება „ფიორანოს“ ტრასაზე, რომელიც „ფერარის“ ეკუთვნის.

„ფერარის“ დამფინანსებელმა „მარლბორომ“ გადაწყვიტა პატარა გამოფენის მოწყობა. დამთვალიერებლებმა აქ ნახეს შარშანდელ ჩემპიონატში მონაწილე „ფერარი 641“-ის ორი ავტომობილი, რომლითაც ასპარეზობდნენ ალენ პროსტი და ნაჯელ მენსელი და იგივე ფირმის „ფორმულა 2“ კლასის 1951 წლის მოდელი,რომლითაც გამოდიოდა ალბერტო ასქარი.

4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ტესტირება საფრანგეთში „ლე კასტელზე“. „ფერარი“ სრული შემადგენლობით შეუდგა წლევანდელი სეზონისთვის მზადებას. სამუშაოში ჩაერთო 40 მექანიკოსი და ტექნიკოსი, პილოტები — ალენ პროსტი და ჟან ალეზი. გამოსაცდელად მზადაა „ფერარის“ სამი ძრავა, აქვე გადაწყდა, რომ ამ „ფირმის ახალი მოდელის დებიუტი შედგება წელს საფრანგეთში „მანის“ ტრასაზე.

ახალი „ფერარი 642“-ის ოფიციალური პრეზენტაცია შედგება თებერვლის ბოლოს ქალაქ მარანელოში. ორივე ავტომობილი (ძველიც — „641/2“ და ახალიც) გამოსცადა ჟან ალეზმა „ლე კასტელზე“ და აჩვენა დრო — 1 წუთი, 6,26 წამი. ალენ პროსტმა ძველი მოდელით გაიარა 70 წრე: თითოეული 1 წუთისა და 6,05 წამში. აქვე გადაიოდა ტესტირებას „ლეიტონ ჰაუსი“, რომლის პილოტმაც (ივან კაპელი) ერთი წრის გავლას 1 წუთი, 7,07 წამი მოანდომა.

ორდღიანი ტესტირების პერიოდში, „პოლ რიკარზე“ ჟან ალეზმა სარეკორდო დრო აჩვენა ახალი „ფერარის“ საჭესთან. 82 წრის გავლისას ფრანგმა პილოტმა ავტომობილის მთელი სიძლიერის დემონსტრირება მოახდინა. ამ დროს პროსტი „ფერარის“ ძველ მოდელს ცდიდა. შემდეგ პილოტებმა გაცვალეს ამ ფირმის ძველი და ახალი ავტომობილები. „პოლ რიკარზე“ ნაჩვენები შედეგებია: ჟან ალეზი („ფერარი 642“) — 1 წუთით, 5,97 წამი; ალენ პროსტი („ფერარი 641“) — 1 წუთი, 6,40 წამი; ბე-

რტრან გაშო („ჯორდანი“) — 1 წუთი, 6,63 წამი; ერიკ კომა („ლიჟიე“) — 1 წუთი, 7,72 წამი; ჯანი მორბიდელი („მინარდი-ფერარი“) — 1 წუთი, 7,78 წამი; ივან კაპელი („ლეიტონ ჰაუსლმორი“) — 1 წუთი. 8,29 წამი; პიერლუიჯი მარტინი („მინარდი-კოსუორტი“) — 1 1 წუთი, 8,30 წამი; ემანუელე პირო („დალარა-ჯადი“) — 1 წუთი, 8,39 წამი; ირკი იარვილეჰტო („დალარა-კოსუორტი“) — 1 წუთი, 10,39 წამი.

ალენ პროსტმა „ფერარი 642“-ის საჭესთან, საწვრთნელი რბოლის მესამე დღეს, გაუმჯობესა თანაგუნდელის რეკორდი. მისი დროა 1 წუთი და 4,84 წამი.

„პოლ რიკარზე“ საწვრთნელი რბოლების ბოლო დღეს ნაჯელ მენსელმა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ჯილდოდ ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის ორდენი მიიღო, „რენოს“ ახალი ძრავის გამოცდისას „უილიამსის“ საჭესთან, გაუმჯობესა ყოფილი თანაგუნდელის რეკორდი. ინგლისელმა პილოტმა ერთი წრე დაფარა 1 წუთსა და 2[illegible] წამში.

8 წლის ლეონარდო სპაჩონემ საუკეთესო საჩუქარი მიიღო დაბადების დღეს — ალესანდრო ნანინიმ მას „ფორმულა 1“ ავტომობილის პატარა მოდელი აჩუქა. ვინ არის პატარა ლეონარდო? ნანინიმ იგი ფლორენციის საავადმყოფოში ყოფნის დროს გაიცნო. ლეონარდომ ზუსტად ისეთივე ტრავმა მიიღო, როცა, შემთხვევით მატარებელს ჩაუვარდა კიუზის სადგურთან. პროფესორმა ბუფალინიმ ეს ოპერაციაც ბრწყინვალედ ჩაატარა. ამჟამად ბავშვი კარგად გრძნობს თავს და მოუთმენლად ელის თავის უფროსი მეგობრის ავტოსპორტში დაბრუნებას.

დავით ჩუბინიძე

კალეიდოსკოპი

სუპერმენის სუპერსიჩქარეები

უამრავ ფილმში სუპერმენის როლებში გადაღებული ამერიკელი მსახიობი ჩაკ ნორისი ცხოვრებაშიც საკუთარ კინოგმირებთან მსგავსებას ესწრაფვის. „დიდ ტბებზე შეტევა“ უწოდა მან თავის ცდას — დაემხო მარათონული რეკორდი კატარღით რბოლაში ჩიკაგო-დეტროიტის საწყლისნო ტრასაზე, რომელიც შვიდი წლის წინათ დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რეიგანის ვაჟიშვილმა. განსაკუთრებით მონდომებული იყო მსახიობი ბოლო ცდისას, რადგან მანამდე ამინდი არ უმართლებდა. ჩაკს არც ამჯერად გაუმართლა — მის სამკაციან ეკიპაჟს „გზაზე“ ორი მეტრი სიმაღლის ტალღა გადაეღობა, მაგრამ ნორისმა მაინც აისრულა საწადელი: 605 მილი მან 12 საათში, 8 წუთსა და 42 წამში დაფარა და მაიკლ რეიგანს 26 წუთით აჯობა.

დუისბურგი — მესამედ

გერმანიის ქალაქი დუისბურგი 1995 წელს მესამედ უმასპინძლებს მებაიდარეთა და კანოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს. 1979 და 1987 წლებში ამ ქალაქში უკვე ჩატარდა მსგავსი ჩემპიონატები. მომავალი პირველობის ჩატარების უფლება დუისბურგმა უნგრეთისა და კანადის ქალაქებთან მძაფრ კონკურენციაში მოიპოვა.

ცოტა რამ ფორმენზე

გაგზავნა რა ნოკაუტში მაიკ ჯეიმსონი, ორმოცდაორი წლის ამერიკელმა ვეტერანმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა დიდი ხნის ოცნების აღსასრულებლად — დაიბრუნოს უპირველესი მძიმე წონის მოკრივის წოდება.

ფორმენის გზა დიდებისაკენ რთული და მძიმე იყო — იგი ხომ ციხეში დაიწყო. სასჯელის მოხდის შემდეგ თხუთმეტი წლის ქურდმა დანაშაულებრივ წარსულთან გამოთხოვება გადაწყვიტა და ...ოთხი წლის შემდეგ შავკანიან მოკრივეს ოლიმპიური მეხიკო უკრავდა ტაშს. 1973 წელს იამაიკაზე ფორმენმა მეორე რაუნდში უძლიერესი აპერკოტით ძირს დასცა მანამდე დაუმარცხებელი ჯო ფრეზერი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მძიმე წონის პროფესიონალთა შორის. ერთი წლის შემდეგ ჯორჯ ფორმენმა პირველი მარცხი იწვნია მოჰამედ ალისაგან. 1977 წლის მარტში, მეორედ დამარცხების შემდეგ, ფორმენმა დატოვა პროფესიული რინგი, რომელზეც 64-ჯერ გაიმარჯვა (აქედან 60-ჯერ ნოკაუტით).

ექსჩემპიონმა ეკლესია ააშენა და ...მოვდელი გახდა. მაგრამ, 1987 წელს მამა ჯორჯი კვლავ სპორტს დაუბრუნდა, თუმცა წირვა-ლოცვა არ მიუტოვებია! თავისი გვარიანი ჰონორარების დიდ ნაწილს მოკრივე-მღვდელი გზასაცდენილი მოზარდების სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებს ურიცხავს.

პროფესიული კრივის ამბები

20 მილიონი — 12,5 მილიონის წინააღმდეგ

როგორც ვიუწყებოდით, მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე ევანდერ ჰოლიფილდსა და ჯორჯ ფორმენს შორის გაიმართება ადრინდელი გრაფიკის თანახმად — 19 აპრილს ატლანტიკ-სიტიში. არადა, სულ ბოლო მომენტში შეხვედრა კინაღამ ჩაიშალა. საქმე ისაა, რომ შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა — საკმაოდ სოლიდური კაზინოს მფლობელმა დონალდ ტრამპმა სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის გამწვავებასთან დაკავშირებით მატჩის დაფინანსებაზე უარი განაცხადა.

რა მოხდა მერე, კაცმა არ იცის. არ არის ცნობილი ისიც, შეცვალა თუ არა ტრამპმა თავისი გადაწყვეტილება. მაგრამ ფაქტია, რომ ორი დღის წინ ამერიკის ტელევიზიით გამოსულმა მენეჯერებმა დან დუვამ და ბობ არუმმა გადაჭრით განაცხადეს: ბრძოლა ჩატარდება დანიშნულ დღეს, საათსა და წუთს, დათქმულ ქალაქში და მსოფლიო ჩემპიონი ჰოლიფილდი მატჩში მონაწილეობისთვის მიიღებს 20 მილიონ დოლარს, ფორმენი კი, როგორც ამ ტიტულის მაძიებელი, მხოლოდ 12,5 მილიონს.

მუქარა თუ შეასრულა...

18 მარტს ლას-ვეგასში გაიმართება საინტერესო მატჩი მსოფლიოს ექსჩემპიონ მაიკ ტაისონსა და კანადელ დონოვან რადოკს შორის. კანადელი ტაისონისთვის ხელწამოსაკრავი მეტოქე არ უნდა იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რადოკმა ბოლო ათი ბრძოლა ნოკაუტით მოიგო, ეს კი, დაგვეთანხმებით, რაღაცას ნიშნავს.

ამ დღეებში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ერთ პოპულარულ სატელევიზიო გადაცემაში მიიღო მონაწილეობა, სადაც, სხვათა შორის, თქვა: „კანადელს ცემით მოვკლავ“.

ამასთან დაკავშირებით, რადოკმა ოფიციალური განცხადება გააკეთა:

— ასეთი მუქარა შეურაცხმყოფელია. ერთხელ ტაისონმა უკვე იგემა ნოკაუტი, მეორედ მე გავახსენებ, რას ნიშნავს ეს. 1989 წლის ნოემბერს მაკს შეეშინდა ჩემი და ავადმყოფობა მოიმიზეზა, მაგრამ ახლა ვეღარ დამიძვრება ხელიდან.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

„სპორტპროგნოზი“, მე-8 ტირაჟის პროგრამა (23-24 თებერვალი)

		პროგნოზი			
სსრკ ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
1. „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი)	23.II	80	10	10	X
2. „ზორკი“ (კრასნოგორსკი) — ახკ (ხაბაროვსკი)	23.II	80	10	10	2
3. „სტარტი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „ხიმიკი“ (ავტოკანი)	23.II	40	50	10	2
4. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — „ენერგია“ (კრასნოიარსკი)	23.II	10	20	70	X
5. „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) — ახკ (სვერდლოვსკი)	23.II	50	40	10	2
6. „სევერონიკელი“ (მონჩეგორსკი) — „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი)	23.II	20	40	40	2
სსრკ ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
7. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „ტორპედო“ (ნიჟნი ნოვგოროდი)	23.II	60	30	10	1
8. „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	23.II	10	50	40	1
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში					
9. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „ჯენოვა“ (გენუა)	24.II	50	40	10	X
10. „სამპდორია“ (გენუა) — „პარმა“ (პარმა)	24.II	40	50	10	1
11. „რომა“ (რომა) — „ტორინო“ (ტურინი)	24.II	60	30	10	X
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში					
12. „ვალიადოლიდი“ (ვალიადოლიდი) — „ბარსელონა“ (ბარსელონა)	24.II	10	40	50	X
13. „რეალი“ (მადრიდი) — „სარაგოსა“ (სარაგოსა)	24.II	50	40	10	1

„ლელის“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ს. კოტეკის, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„ჭერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, ს. კოტეკის, 14. ფასდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ზოზარიულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20